

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო



საკონკურსო დოკუმენტაცია

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების
შესყიდვის მიზნით

ქ. თბილისი 2014 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო აცხადებს კონკურსს სააგენტოს შენობის ახალი გეგმარებითი სტრუქტურის და არქიტექტურული გარე სახის შექმნის ესკიზურ პროექტის და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის N42-ში არსებული 3 (სამი) სართულიანი ადმინისტრაციული შენობის გეგმარების და გარე არქიტექტურული სახის რეკონსტრუქციით, დედაქალაქს შემატოს თანამედროვე იერსახის ღირშესანიშნავი შენობა.
3. კონკურსის ამოცანაა გამოავლინოს საუკეთესო ნამუშევარი, რომელშიც ასახული იქნება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის სათანადო მოთხოვნები და დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.
4. კონკურსის მომწყობია სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42.
5. კონკურსის მსვლელობისას უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტის კრეატიულ იდეას, არასტანდარტული და არაორდინალური შენობის დიზაინს, რაც გულისხმობს ორიგინალურობისა და პრაქტიკულობის სინთეზს.
6. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **30 000,00 ლარს (ორმოცი ათასი ლარი და 00 თეთრი).**
7. დაფინანსების წყარო: **სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს - 2014 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.**
8. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.**
9. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
- 9.1. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე ლარებში (www.procurement.gov.ge).

მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
	ბანკის კოდი: 220 101 757
მიმღები	მიმღები: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
	IBAN: GE52BR0000010591718543

- 9.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
10. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-9 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
11. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
13. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება - **2014 წლის 31 იანვარს 17:00 საათზე.**
14. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს **2013 წლის 31 იანვრის 14 საათიდან - 17:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. N42, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული ოფისი.**
15. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.
16. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

17. ანგარიშსწორება განხორციელდება უნადლო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, **20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში**.
18. საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას წინასწარი ანგარიშსწორება **ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-სა**, იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ) წარმოდგენის საფუძველზე.
19. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
20. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (**30 000,00 ლარი**) არ განიხილება.
21. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მისთვის მისაღები საკონკურსო წინადადებების წარმომდგენი პრეტენდენტები მოიწვიოს ზეპირ ვაჭრობაზე.
22. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით:

N	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	არქიტექტურული კონცეფცია, ესკიზი და დაგეგმარება	0.6
2	საკონკურსო წინადადების ფასი	0.4
სულ:		1.0

23. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.
24. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
25. კონკურსანტის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
 - 25.1 **კონკურსანტის შეთავაზება - დანართი N2**-ის მიხედვით, სადაც მითითებული უნდა იყოს: საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში. ამასთან იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი და მითითებული უნდა იყოს დღგ–ს გარეშე.
 - 25.2 განაცხადს დანართის სახით უნდა დაერთოს ესკიზური პროექტის ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF-ის ფაილით) შემდეგი შემადგენლობით და თანმიმდევრობით:
 - o საპროექტო ორგანიზაციის დასახელება და შესაბამისი რეკვიზიტები;
 - o სატიტულო ფურცელი ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით;
 - o განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
 - o შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის გენ.გეგმა
 - o გადახურვის (საჭიროების შემთხვევაში) და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების, კარ-ფანჯრებზე და ვიტრაჟებზე გამოყენებული მასალების აღწერა-მითითება.
 - 25.3 პროექტის გრაფიკული ნაწილი:
 - o სიტუაციური გეგმა მ1:2000;
 - o მიმდებარე ტერიტორიის (ქუჩის მხარისა და შიდა ეზოს) კეთილმოწყობა;
 - o შენობის 1-ლი სართულის გეგმა
 - o სახასიათო ჭრილი მ1:200 (არანაკლებ 2-ისა);
 - o შენობის ყველა ფასადები მ1:200 (გრაფიკული).
 - 25.4 მაღალი ხარისხის ფოტომონტაჟი და რენდერები (არანაკლებ 6 ერთეულისა).
 - 25.5 ინფორმაცია კონკურსანტის მიერ საქართველოს მასშტაბით განხორციელებული და რეალიზებული ადმინისტრაციული ან საცხოვრებელი შენობის **არანაკლებ ორი არქიტექტურული პროექტის** შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად);
 - 25.6 აფიდავიტი (შევისებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ) დანართი N1-ს მიხედვით.

- 25.7 კონკურსში მონაწილეს სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია მის მიერ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას აგრეთვე ელ. ვერსიის (პრეზენტაციის) სახით.
26. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- 26.1 იურიდიული პირებისათვის:
- 26.1.1 ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- 26.1.2 ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.
- 26.2 ფიზიკური პირებისათვის:
- 26.2.1 პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ან/და გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობის ასლები;
- 26.2.2 ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.
27. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან გაცემული უნდა იქნას მხოლოდ საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღიდან.
28. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერილი წინადადებები არ განიხილება.
29. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე.
30. მიწოდების პირობები და ვადები:
- 30.1 კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს დანართი N3-ში მითითებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.
- არქიტექტურული ნაწილი (მუშა პროექტი);
 - ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, პარკინგი და გამწვანება, გამშვები პუნქტის (შლაგბაუმის) მოწყობა;
 - ეზოს განათების სისტემა;
 - კონსტრუქციული ნაწილი;
 - ტექნოლოგიური ნაწილი;
 - შიდა წყალმომარაგება – კანალიზაცია;
 - გარე კომუნიკაციები;
 - შიდა ელ.მომარაგება განათება;
 - სუსტი დენები, ქსელები;
 - სასერვერო ოთახის მოწყობა;
 - ვენტილაცია, კონდენცირება;
 - გათბობა (გათვალისწინებული უნდა იქნეს ეზოს ტერიტორიაზე საქვების მოწყობა)
 - დამოუკიდებელი ელ.მომარაგება (გათვალისწინებული უნდა იქნეს ეზოს ტერიტორიაზე დიზელ-გენერატორის განთავსება);
 - შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;
 - ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
 - მშენებლობის ორგანიზების პროექტი, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების გრაფიკი;
 - სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
 - სადემონტაჟო სამუშაოების დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა.
- 30.2 კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კონკურსის მომწყობს წარუდგინოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დაბეჭდილი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით გამოფენისთვის, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, ხარჯთაღრიცხვა და მშენებლობის დასრულების სავარაუდო ვადები.
- 30.3 კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით).
- 30.4 სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს **900 000,00 ლარს (ცხრაასი ათასი ლარი და 00 თეთრი).**

დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში, მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42, საკონტაქტო პირი: ნინო გოგია, ტელ: (+995 32) 210 59 73.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის მიხეილ ჩიტაძის სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42;

საიდენტიფიკაციო კოდი: 204 534 502;

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ - ცენტრალური ფილიალი;

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ანგ/ნომერი: GE07BG0000 000 771 056 400;

(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ, ----- წარმოდგენილი ----- სახით

მისამართი: -----

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის კოდი:

ა/ა:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი -----

(შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა)

შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: -----

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველ“ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია არასაკაპიტმორო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო საჭიროების დასაკმაყოფილებლად;
- 2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
 - **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვა**
 - **CPV კოდი: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები;**
- 2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **დანართში N1**, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მიწოდების პირობები და ვადები:

- 3.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 (ოცდათი) კალენდარული დღის** განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით) შემადგენლობით:
- 3.2 კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს დანართი N_ -ში მითითებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.
 - არქიტექტურული ნაწილი (მუშა პროექტი);
 - ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, პარკინგი და გამწვანება, გამშვები პუნქტის (შლაგბაუმის) მოწყობა;
 - ეზოს განათების სისტემა;
 - კონსტრუქციული ნაწილი;
 - ტექნოლოგიური ნაწილი;
 - შიდა წყალმომარაგება – კანალიზაცია;
 - გარე კომუნიკაციები;
 - შიდა ელ.მომარაგება განათება;
 - სუსტი დენები, ქსელები;
 - სასერვერო ოთახის მოწყობა;
 - ვენტილაცია, კონდენცირება;
 - გათბობა (გათვალისწინებული უნდა იქნეს ეზოს ტერიტორიაზე საქვების მოწყობა)
 - დამოუკიდებელი ელ.მომარაგება (გათვალისწინებული უნდა იქნეს ეზოს ტერიტორიაზე დიზელ-გენერატორის განთავსება);
 - შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;
 - ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
 - მშენებლობის ორგანიზების პროექტი, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების გრაფიკი;
 - სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
 - სადემონტაჟო სამუშაოების დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა.
- 3.3 სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს - **900 000,00 ლარს (ცხრაასი ათასი ლარი და 00 თეთრი).**
- 3.4 მიმწოდებელი ვალდებულია, სრულყოფილი პროექტის წარმოდგენის შემდეგ, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების საექსპერტო შემოწმება დამოუკიდებელი ექსპერტთან (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“).
- 3.5 მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის რეალიზების პერიოდში განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საპროექტო დოკუმენტაციაში.
- 3.6 საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ძალისხმევითა და ხარჯებით სხვადასხვა სახის ნებართვებისა ალება ადმინისტრაციული ორგანოებიდან.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტი) და დამოუკიდებელი ექსპერტის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

4.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია ან/და კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. ფასები და ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

5.2 დაფინანსების წყარო: **2014 წლის საბიუჯეტო ასიგნებები;**

5.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს;

5.4 ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროექტო-სახარტალრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით;

5.5 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტისა და დამოუკიდებელი ექსპერტის დადებითი დასკვნის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.6 საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-სა, იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენის საფუძველზე.

5.7 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) ან ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6.5 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია ან/და კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება არ აქვს მოახდინოს შესრულებული პროექტის რეალიზება (განხორციელება) სხვა დამკვეთისათვის.

8.2 „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 9.1 ფორს-მაჟორული პირობების ან/და „შემსყიდველის“ მიზეზით გამოწვეულის გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
- 9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 9.3 თუ „მიმწოდებელი“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
- 9.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს **ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.**
- 9.3.2 განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით.
- 9.4 თუ „შემსყიდველი“ დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ დააჯარიმოს **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.**
- 9.5 თუ „მიმწოდებელი“ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, „შემსყიდველი“ წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმდება **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.**
- 9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 9.7 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- 9.7.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- 9.7.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;
- 9.7.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
- 9.7.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 9.8 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 11.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

- 12.1 პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ ხელშეკრულებაში, დარეგულირებული და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ენა

- 13.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.
- 13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება „მიმწოდებლისათვის“ მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14. შეტყობინება

- 14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

- 15.1 უცხოელი „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
- 15.2 ადგილობრივი „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

17. სხვა პირობები

- 17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან“ და ერთი პირი „შემსყიდველთან“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 17.4 დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა
და პრობაციის ეროვნული სააგენტო

მიხეილ ჩიტაძე

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - საკონკურსო წინადადების ფასი;
 - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
 - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	საკონკურსო წინანადების ღირებულება: (მითითებული უნდა იყოს ფასი მოიცავს თუ არა დღგ-ს)	
3.	ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ: (შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 40%-სა)	
4.	ინფორმაცია მიწოდების ვადების შესახებ:	
5.	სამუშაოს შესრულების ვადა: (მაქსიმუმ 30 კალენდარული დღე)	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ტექნიკური დავალება


შენიშვნის აღწერილობა:

- 3 სართული - ფასადის მოპირკეთება + გარე განათება;
- 1 იზოლირებული კარის გაჭრა (ქუჩის მხრიდან)
- ცენტრალური შესასვლელიდან დამოუკიდებელი კარის გაჭრა 1 სართულზე, (შპს-სათვის)
- 1 სართული - 2 სველი წერტილის მოწყობა (წინა ფლიგელში)
- 2 სართული - 1 სველი წერტილის მოწყობა (წინა ფლიგელში)
- 2 სართული - 2 სველი წერტილის მოწყობა (უკანა ფლიგელში)
- 2 სართული - (უკანა ფლიგელი) 2 საკონფერენციო დარბაზის მოწყობა
- ცენტრალური გათბობა-კონდეცირება
- ცენტრალური ვენტილაცია
- სუსტი დენები
- ქსელის ინფრასტრუქტურა
- სახანძრო უსაფრთხოება
- 1 უკანა შემოსასვლელი
- შედა ეზოს მოწყობა
- სამზარეულოს მოწყობა 2 სართულზე
- ტურნიკეტები
- სარეგისტაციოს მოწყობა 10 ოპერატორისათვის (არანაკლებ 50მ²)
- უფროსის კაბინეტი (სველი წერტილით)
- მოადგილის კაბინეტი (სველი წერტილით)

დამატებითი პირობები:

- საჭიროების შემთხვევაში, კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია უზრველყოს სხვადასხვა სახის ნებართვებისა აღება ადმინისტრაციული ორგანოებიდან.
- გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვაზე.

I სართულის გეგმის ფრაგმენტი



უ.პ.ს კერსკემტივა

07.11.2013

საკადასტრო აღწერაზე
უზღებამოსილი პირი

ავთანდილ ლაჯარაშვილი


შეასრულა

ნატო გუგუშაშვილი

დაინტერესებული პირი

სამართლულს სასწავლალსრულების,პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

II სართულის გეგმა



მთლიანი ფართი – 306.93 მ²

უ.კ.ს კერსკემტივა

07.11.2013

საკადასტრო აღწერაზე
უფლებამოსილი პირი

ავთანდილ ლაზარაშვილი


შეასრულა

ნატო გუგუშაშვილი

დანიშტერმსებული პირი

საქართველოს სასაქონლო რეგისტრაციის, პროპერტი და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

II სართულის გეგმის ურამენტი



მთლიანი ფართი - 481.18 მ²

უ.პ.ს კერსკეტივა

07.11.2013

საკადასტრო აღწერაზე
უფლებამოსილი პირი

ავთანდილ ლაზარაშვილი


შეასრულა

ნატო გუგუშაშვილი

დანიშტერმსებული პირი

საქართველოს სასაქონლო უწყვეტობის, კორპორაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

III სართულის გეგმა



მთლიანი ფართი – 461.83 მ²

შ.პ.ს კერსკემტივა

07.11.2013

საკადასტრო აღწერაზე
უფლებამოსილი პირი

ავთანდილ ლაზარაშვილი


შეასრულა

ნატო გუგუშაშვილი

დანიშტერმსებული პირი

საქართველოს სასაქონლო რეგისტრაციის, პროპაგანდისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

III სართულის გეგმა



მთლიანი ფართი - 556.65 მ²

უ.კ.ს კერსკემტივა

		07.11.2013
საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	აპთანდილ ლაზარაშვილი	
შეასრულა	ნატო გუგუშაშვილი	
დანიშტერმსებული პირი	საპარტემლოს სასაქონლო-სამშენებლო-სამკვეთო-სამომსახურეო და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	